საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

არჩილ ჩოფიკაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ანა ლორია - კოლეგიის წევრი

ანა ხურციძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ე. ძ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 09.02.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 011/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნ. კ.-ს მიმართ /სიითი№3089/1/

საჩივრის ავტორის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. კ.-სათვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. საჩივრის ავტორის პოზიცია:

1.1 2018 წლის 09 თებერვალს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ე. ძ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ნ. კ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ის ქართულად ვერ კითხულობს და ამის გამო ბანკში ხელი მოაწერა თავდებობის ხელშეკრულებას მოტყუებით, ისეთი პირობებით, რომელზეც რეალურად არ იყო თანახმა. სწორედ ამ დავაზე სჭირდებოდა მას ადვოკატის დახმარება სამოქალაქო და სისხლის სამართალწარმოების კუთხით, რისთვისაც მიმართა ადვოკატ ნ. კ.-ს. ის და ადვოკატი ნ. კ. საადვოკატო მომსახურების პირობებზე შეთანხმდნენ ზეპირი

ფორმით და მათ შორის გაფორმდა მინდობილობა. ადვოკატს მისი ინტერესები უნდა წარმოედგინა მოცემული დავის ფარგლებში, საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში. საჩივრის ავტორის განმარტებით, ის უკმაყოფილო იყო ადვოკატის მომსახურებით, რის გამოც, ვადაზე ადრე შეწყვიტა სამართლებრივი მომსახურების ხელშეკრულება მოპასუხე ადვოკატთან.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი არ უბრუნებს საქმის მასალებს, მომსახურების ჰონორარს და სასამართლო ბაჟის სახით გადაცემულ თანხას. საპროცესო კოლეგიის სხდომაზე 2018 წლის 09 მარტს საჩივრის ავტორმა დამატებით განმარტა, რომ ჰონორარის სახით ადვოკატმა აიღო 480 ლარი და 100 აშშ დოლარი, ხოლო მის მიერ ადვოკატისათვის ჩარიცხული 1688 ლარი და 200 აშშ დოლარი წარმოადგენდა სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად განკუთვნილ თანხას. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ის ადვოკატს ასევე აძლევდა თანხას დოკუმენტების თარგმნისა და დაბეჭდვისათვის, დაახლოებით 30-50 ლარს.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, სასამართლოში სარჩელი შეიტანა ბანკმა, დავაში ის იყო მოპასუხე და როგორც მოგვიანებით შეიტყო, არ ეკუთვნოდა სახელმწიფო ბაჟის გადახდა, მიუხედავად ამისა, ადვოკატმა მისგან ბაჟის თანხა მაინც აიღო. საქალაქო სასამართლოში ეს დავა მან წააგო და რადგან ადვოკატმა გაუშვა სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი ვადა, მან ვერ გააგრძელა დავა სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა ნ. კ.-მ მისი საქმე აწარმოა არაკვალიფიციურად, რის გამოც მან დაარღვია ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპი.

1.6 საჩივრის ავტორმა დამატებით განმარტა, რომ მას შემდეგ, რაც ეთიკის კომისიაში ადვოკატის მიმართ დაწერა საჩივარი, ადვოკატმა მისწერა მუქარის შემცველი მოკლე ტექსტური შეტყობინება, თუ როგორ გაბედა მან და მომართა ეთიკის კომისიას.

1.7 განხილვის კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა ასევე განმარტა, რომ მან ადვოკატ ნ. კ.-ს ასესხა 300 აშშ დოლარი, სამეურნეო ტრაქტორის გასარემონტებლად.

1.8 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატს მასთან არ შეუთანხმებია სარჩელის შინაარსი, სასარჩელო მოთხოვნა და დაცვის სტრატეგია.

1.9 საჩივრის ავტორმა 2019 წლის 10 იანვრის სხდომაზე განმარტა, რომ ადვოკატმა მის სამ საქმეზე ორდერი გამოწერა, მაგრამ პროკურატურაში არც ერთი საქმე არ არის აღძრული.

1.10 საჩივრის ავტორის პოზიციაა, რომ ადვოკატმა დაიტოვოს საადვოკატო მომსახურების ჰონორარის სახით გადაცემული თანხა 480 ლარი და დანარჩენი თანხა, რომელიც განკუთვნილი იყო სახელმწიფო ბაჟისთვის, დაუბრუნოს.

2. საჩივრის ავტორის მოწმის შოთა სომხიშვილის განმარტება:

2.1 საჩივრის ავტორის მოწმემ, შოთა სომხიშვილმა 2018 წლის 24 დეკემბრის განხილვის კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ მუშაობს ე. ძ.-ს ბიძაშვილთან მძღოლად. ე. ძ.-ს ბიძაშვილს და ადვოკატ ნ. კ.-ს ჰქონდათ საერთო მეურნეობა. მიწას ამუშავებდნენ ტრაქტორით. ე. ძ. თავისი ბიძაშვილის მეურნეობას მეთვალყურეობდა. მოწმის განმარტებით, მან ე. ძ. წაიყვანა თავისი მანქანით ტრაქტორისათვის ნაწილების საყიდლად. მოწმისთვის უცნობია, ვინ გადასცა თანხა ე. ძ.-ს ტრაქტორის ნაწილების

საყიდლად და რა ოდენობის თანხა დახარჯა მან. მოწმისთვის ასევე უცნობია, ვის ეკუთვნოდა ტრაქტორი.

3. ადვოკატის პოზიცია:

3.1 2018 წლის 15 მარტს ადვოკატმა ნ. კ.-მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობით ახსნა-განმარტება, სადაც აღნიშნა, რომ ე. ძ.-ს ინტერესებს იცავს 2013წლიდან. ის დღემდე აგრძელებს ე. ძ.-ს ინტერესების დაცვას ვაკისა და ძველი თბილისის პროკურატურებში და საგამოძიებო ორგანოებში, სადაც მიმდინარეობს გამოძიება ე. ძ.-ს ქონების მითვისების ფაქტზე, ე. ძ.-ს საქმეში აქვს დაზარალებულის სტატუსი.

3.2 ადვოკატის განმარტებით, მან, როგორც ე. ძ.-ს წარმომადგენელმა მოიპოვა დოკუმენტური და სხვა სახის მტკიცებულებები. მისი და კლიენტის სტრატეგია აწყობილი იყო იმ გარემოებაზე, რომ ე. ძ.-მ არ იცოდა ქართულად წერა-კითხვა. ეთიკის კომისიაში საჩივრის შეტანით მისმა კლიენტმა შესაძლოა წყალში ჩაყაროს მათი სტრატეგია.

3.3 ადვოკატის განმარტებით, ე. ძ. 5 წლის მანძილზე შეუთანხმებელი და არასწორი მოქმედებებით ხელს უშლიდა მას სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში.

3.4 ადვოკატის განმარტებით, ე. ძ.-ს ინტერესებს ის იცავდა სხვა სისხლის სამართლის საქმეში, სადაც ე. ძ. ერთ ქალბატონს ბრალს სდებდა ქურდობაში, თუმცა საქმის წარმოებისას გამოიკვეთა, რომ ამ მოქალაქეს თანხა თავად აჩუქა და დაჰპირდა უფრო მეტ თანხას, თუცოლად გაჰყვებოდა.

3.5 ადვოკატის განმარტებით, ის ე. ძ.-ს შეუთანხმდა ჰონორარზე 2000 ლარზე, ასევე დამატებით თარჯიმნის მომსახურეობაზე და მიმდინარე ხარჯებზე. ამის თაობაზე მათ შორის გაფორმდა ხელშეკრულება. ე. ძ.-მ თანხის გაგზავნისას დაუშვა შეცდომა და ჰონორარისნაცვლად მიუთითა, რომ ეს იყო სახელმწიფო ბაჟის თანხა.

3.6 ადვოკატის განმარტებით, ისინი თუ დაიწყებდნენ სამოქალაქო საქმის წარმოებას, დასჭირდებოდათ სახელმწიფო ბაჟი მხოლოდ 100 ლარის ოდენობით, თუმცა სარჩელი არ შეუტანიათ და შესაბამისად, არც სახელმწიფო ბაჟის გადახდა დასჭირდათ.

3.7 ადვოკატის განმარტებით, 2016 წლის 5 ოქტომბერს, მის სახლში გაჩნდა ხანძარი და მის წარმოებაში არსებული საქმის მასალების ნაწილი განადგურდა. მან თავად ე. ძ.-ს დახმარებითმოიძია ე. ძ.-ს საქმის მასალების ნაწილი და გადასცა მას, რადგან იმ პერიოდში ისიც კი არ იცოდა, თუ სად უნდა ეცხოვრა. ხანძარმა გაანადგურა ასევე მათ შორის გაფორმებული საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება.

3.8 ადვოკატის განმარტებით, ანალოგიური საჩივრით 2013 წელსაც მომართა ე. ძ.-მ ეთიკისკომისიას, ე. ძ.-მ ეს იმით ახსნა, რომ თითქოს მასთან კომუნიკაცია უჭირდა. ადვოკატი განმარტავს, რომ ამ საჩივრის შემოტანის შემდეგ, როდესაც ის „დაემუქრა“ ე. ძ.-ს, მან დაუყოვნებლივ გამოიტანა საჩივარი ეთიკის კომისიიდან.

3.9 ადვოკატი განმარტავს, რომ მან ე. ძ.-ს ინტერესები დაიცვა კვალიფიციურად და მისი პრეტენზია უსაფუძვლოა.

3.10 განხილვის კოლეგიის სხდომაზე 2018 წლის 24 დეკემბერს ადვოკატმა განმარტა, რომ ე. ძ.-ს საქმეზე არ უწარმოებია ხარჯთაღრიცხვა.

3.11 2019 წლის 10 იანვრის სხდომაზე ადვოკატმა განმარტა, რომ სპეციალიზაციის თაობაზე მითითებული ჰქონდა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაში და ამ დოკუმენტის მისი ეგზემპლარი დაიწვა, ხოლო საჩივრის ავტორი ხელშეკრულების დადების ფაქტს არ ადასტურებს.

3.12 ადვოკატი განმარტავს, რომ მან აწარმოა ე. ძ.-ის ერთი სამოქალაქო და ერთი სისხლის სამართლის საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოში.

4. ადვოკატის მოწმის დავით კვანტრიშვილის განმარტება:

4.1 განხილვის კოლეგიის სხდომაზე, 2019 წლის 10 იანვარს, ადვოკატის მოწმემ დავით კვანტრიშვილმა განმარტა, რომ ის არის ადვოკატ ნ. კ.ს ბიძაშვილი და ეხმარება საქმის წარმოებაში, რაც მოიცავს თანაშემწის მოვალეობას, საბუთების მოწესრიგება-დალაგებას. ასეთივე დახმარებას უწევდა ე. ძ.ს საქმეშიც და ასევე, რადგან იცის რუსული, ხოლო ე. ძ.-ს სჭირდებოდა თარჯიმანი, ის ასრულებდა თარჯიმნის მოვალეობასაც.

4.2 მოწმის განმარტებით, რადგან ნ. კ.-ს აქვს სისხლის სამართლის სპეციალიზაცია, მას შეუძლია მხოლოდ პირველ ინსტანციაში გაუწიოს კლიენტს წრმომადგენლობა, ამის შესახებ ნ. კ.-მ კლიენტს ინფორმაცია მიაწოდა.

4.3 მოწმის განმარტებით, ე. ძ.-მ ადვოკატს მისცა დავალება, რომ გაეჭიანურებინა სასამართლო საქმის წარმოება დაახლოებით 6 თვით, რათა მოეძებნა ის პიროვნება, ვინც დააზარალა.მოწმე განმარტავს, რომ ადვოკატმა კლიენტისაგან მიღებული დავალება შეასრულა, რადგან საქმის წარმოება გაჭიანურდა დაახლოებით 3 წლით.

4.4 მოწმის განმარტებით, ადვოკატმა ნ. კ.ს სტრატეგიით, რომ ე. ძ.-ს აქვს რუსულ ენოვანი განათლება, შესაბამისად ვერ წერს და კითხულობს ქართულად, საქმე გადავიდა სისხლის სამართლის კუთხით და შესაძლო თაღლითობის ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება.

4.5 მოწმე განმარტავს, რომ ადვოკატმა ედიშერ ძიძიგურთან გააფორმა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება, თბილისში, მაჩაბლის ქუჩაზე და თავადაც ესწრებოდა ხელშეკრულების გაფორმების ფაქტს. მოწმე განმარტავს, რომ ის ესწრებოდა ე. ძ.სა და ადვოკატის ყველა შეხვედრას, იმ საფუძვლით, რომ ადვოკატის სტრატეგიას წარმოადგენდა, კლიენტის მიერ სახელმწიფო ენის არ ცოდნა და ის ასევე ახორციელებდა თარჯიმანის ფუნქციას.

5. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

5.1 2018 წლის 24 სექტემბერს, მეოთხე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ნ. კ.ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

5.2 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა ნ. კ.-მ, რომლის სპეციალიზაციაა სისხლის სამართალი, ე. ძ.-ს მომსახურება გაუწია სამოქალაქო საქმეზე და კლიენტი მისი სპეციალიზაციის თაობაზე ინფორმაციას არ ფლობდა, სავარაუდოდ დარღვეული იქნებოდა აშსკ-ის 5 (ა) და აპეკ-ის 8.5 მუხლები. ასევე, იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა კლიენტს არ მიაწოდა ინფორმაცია კლიენტის მიერ გადახდილი თანხების მიზნობრიობის შესახებ, ასევე საადვოკატო ურთიერთობის დასრულების

შემდეგ, ადვოკატმა კლიენტს არ დაუბრუნა გამოუმუშავებელი საადვოკატო მომსახურების თანხის ნაწილი, სავარაუდოდ დარღვეული იქნებოდა აშსკ-ის 6.2 და აპეკ-ის 8.6, 8.15 მუხლები.

5.3 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდებოდა, რომ ეთიკის კომისიაში 2018 წლის 15 მარტს წარმოდგენილი ახსნა-განმარტებით ადვოკატმა კომისიას მოაწოდა კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაცია, სავარაუდოდ დარღვეული იქნებოდა აშსკ-ის მე-7.1(ბ) მუხლი და აპეკ-ის 4.1 მუხლი. ასევე, კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატის მიერ აპეკ-ის მე-3 მუხლის დარღვევის თაობაზე.

II სამოტივაციო ნაწილი

6. საქმის ფაქტები:

6.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

6.1.1 ადვოკატი ნ. კ. ე. ძ.-ს ინტერესებს წარმოადგენდა სამოქალაქოსაქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოში და სისხლის სამართლის საქმეზე - პროკურატურაში.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

სამოქალაქო საქმე N2/13397-13

განხილვის კოლეგიის 2019 წლის 10 იანვრის სხდომის ოქმი

6.1.2 ადვოკატმა ნ. კ.-მ აიღო ვალდებულება ყველა ინსტანციის სასამართლოშიწარმოედგინა ე. ძ.-ს ინტერესები, სამოქალაქო საქმეზე.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

2013 წლის 05 აგვისტოს N130795440 სანოტარო აქტი

6.1.3 ადვოკატ ნ. კ.-ს აქვს სისხლის სამართლის სპეციალიზაცია.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ერთიანი სიის მონაცემები

6.1.4 ე. ძ.-მა, ნ. კ.-ს წარმომადგენლობით, სამოქალაქო საქმეზესარჩელით მიმართა სასამართლოს 2013 წლის 20 აგვისტოს, საქმის N2/12140-13, დავის საგანი - სს „პროკრედიტ ბანკს“ და ე. ძ.-ს შორის დადებული იპოთეკის ხელშეკრულების ბათილადცნობა. 2013 წლის 26 აგვისტოს განჩინებით, სასამართლომ არ მიიღო სარჩელი წარმოებაში.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

სამოქალაქო საქმე N2/13397-13

განხილვის კოლეგიის 2019 წლის 10 იანვრის სხდომის ოქმი

6.1.5 2013 წლის 18 სექტემბერს, სასამართლოს სარჩელით მიმართა სს „პროკრედიტ ბანკმა“, მოპასუხე ე. ძ.ს მიმართ, რომლის ინტერესებს წარმოადგენდა ადვოკატი ნ. კ.. სარჩელი ჩაბარდა ნ. კ.-ს და მანვე წარადგინა სასამართლოში თავისი რწმუნებულება და შესაგებელი. ნ. კ. გამოცხადდა 2014 წლის 22 იანვრისსასამართლოს სხდომაზე. ნ. კ.-მ 2014 წლის 02 მაისს სასამართლოს მიმართა განცხადებით, ე. ძ.ს ავადმყოფობის გამო სხდომის გადადების მოთხოვნით, სხდომა გადაიდო. შემდეგი სხდომის თარიღი ეცნობა ადვოკატ ნ. კ.-ს. 2014 წლის 21 მაისის სასამართლო სხდომაზე გამოცხადდა ე. ძ.ს წარმომადგენელი ნ. კ.. 2014 წლის 27 მაისის სასამართლოს გადაწყვეტილებით სს „პროკრედიტ ბანკის“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

სამოქალაქო საქმე N2/13397-13

განხილვის კოლეგიის 2019 წლის 10 იანვრის სხდომის ოქმი

6.1.6 საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ე. ძ.-მ. სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის გაშვების გამო. ესგანჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ე. ძ.-მ. კერძო საჩივარზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაადგინა ხარვეზი სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო. ე. ძ.-მ ხარვეზი შეავსო. უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ საჩივარი მიიღო წარმოებაში და 2014 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა.

6.1.7 2013 წლის 01 აგვისტოს ე. ძ.-მ ნ. კ.-ს გადაურიცხა 480 ლარი, დანიშნულებაში მითითებულია - მესამე პირის მიერ თანხის შემოტანა (სალაროს შემოსავლის ორდერი N6596651); 2013 წლის 05 აგვისტოს ე. ძ.-მ ნ. კ.-ს გადაურიცხა 152 ლარი, დანიშნულებაში მითითებულია - მესამე პირის მიერ თანხის შემოტანა (სალაროს შემოსავლის ორდერი N 6611229); 2013 წლის 19 აგვისტოს ე. ძ.-მ ნ. კ.-ს ჩაურიცხა 1.688 ლარი, დანიშნულებაში მითითებულია ე. ძ.ს ბაჟის გადახდა (სალაროს შემოსავლის ორდერი N 1); 2013 წლის 31 აგვისტოს ე. ძ.-მ ნ. კ.-ს ჩაურიცხა 100 აშშ დოლარი; 2013 წლის 03 სექტემბერს ე. ძ.-მ ნ. კ.-ს ჩაურიცხა 210 აშშ დოლარი. ჯამში, ე. ძ.-ს ნ. კ.სათვის გადარიცხული აქვს 2.320 ლარი და 310 აშშ დოლარი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

სალაროს შემოსავლის ორდერი N6596651;

სალაროს შემოსავლის ორდერი N 6611229;

სალაროს შემოსავლის ორდერი N 1;

ექსპრეს ბანკის 2013 წლის 31 აგვისტოს სალაროს შემოსავლის ორდერი;

ექსპრეს ბანკის 2013 წლის 03 სექტემბრის სალაროს შემოსავლის ორდერი.

6.2 სადავო ფაქტები:

6.2.1ნ. კ.-მ გაუშვა სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა. საჩივრის ავტორის პოზიციით, ის ვეღარ უკავშირდებოდა ადვოკატს, რის გამოც გავიდა სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა. თავის მხრივ, ადვოკატი განმარტავს, რომ მას სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოების ვალდებულება არ აუღია. ვინაიდან საპირისპირო ადვოკატმა ნ. კ.-მ, სარწმუნო მტკიცების სტანდარტით, ვერ დაამტკიცა, განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა საჩივრის ავტორის მიერ საქმეში წარმოდგენილი მინდობილობით და დაადგინა, რომ ადვოკატმა აიღო ვალდებულება ყველა ინსტანციაში წარმოედგინა ე. ძ.ს ინტერესები. მიუხედავად იმისა, რომადვოკატს არ ჰქონდა უფლება სამოქალაქო წესით სააპელაციო ინსტანციაში წარმოედგინა კლიენტისინტერესები, კლიენტს ჰქონდა მოლოდინი, რომ რადგან ჰყავდა ადვოკატი, ის მიაწვდიდა ინფორმაციას კლიენტს გასაჩივრების შესაძლებლობისა და ვადების შესახებ და საჭიროებისშემთხვევაში გაასაჩივრებდა აღნიშნულ გადაწყვეტილებას.

6.2.2სადავოა მხარეთა შეთანხმება ჰონორარის ოდენობის შესახებ. ადვოკატი ნ. კ. განმარტავს, რომ ჰონორარის სახით მიიღო 2000 ლარი, ხოლო საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ მან ადვოკატს ჰონორარის სახით გადასცა მხოლოდ 480 ლარი, ხოლო მის მიერ ჩარიცხული სხვა თანხები, ადვოკატისაგან მისთვის მიწოდებული ინფორმაციით წარმოადგენს სახელმწიფო ბაჟს. ადვოკატი განმარტავს, რომ მას არ მიუთხოვია კლიენტისაგან სახელმწიფო ბაჟის თანხა და საჩივრის ავტორმა თანხის ჩარიცხვის დანიშნულებაში არასწორად მიუთითა ინფორმაცია, თითქოს ეს თანხა იყო „სახელმწიფო ბაჟი“. კოლეგია იზიარებს საჩივრის ავტორის პოზიციას, რადგან საჩივრის ავტორმა წარმოადგინა მტკიცებულება, სალაროს შემოსავლის ორდერები, სადაც თანხის გადახდის დანიშნულებაში მითითებულია, რომ თანხა წარმოადგენს სახელმწიფო ბაჟს. განხილვის კოლეგიას სარწმუნოდ მიაჩნია საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება (შემოსავლის ორდერი), რომელიც პირდაპირ მიუთითებს, რომ ამ თანხის გადარიცხვის დანიშნულება იყო სახელმწიფო ბაჟის გადახდა, რის შესახებაც კლიენტს ინფორმაცია ექნებოდა ადვოკატისაგან. სხვა შემთხვევაში, ეს რომ ყოფილიყო კლიენტის „შეცდომა“, როგორც ამას ადვოკატი უთითებს, ყველა შემოსავლის ორდერი ერთნაირი იქნებოდა და ყველაში „შეცდომით“ იქნებოდა მითითება, რომ თანხა სახელმწიფო ბაჟისთვის იყო განკუთვნილი, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ ყოფილა. საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი შემოსავლის ორდერებიდან, მხოლოდ ერთს ჰქონდა დანიშნულებაში მითითება, რომ ეს თანხა - 1.688 ლარი, სახელმწიფო ბაჟისთვის იყო განკუთვნილი, რაც განხილვის კომისიას უქმნის სარწმუნო საფუძველს, რომ საჩივრის ავტორმა აღნიშნული თანხა გადაიხადა, როგორც „სახელმწიფო ბაჟი“ და არა, როგორც „ადვოკატის ჰონორარი“.

7. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ნ. კ.ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

8. სამართლებრივი შეფასება:

8.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ნ. კ.ს მიერ დარღვეულია წარმომადგენლობის კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად განხორციელების ვალდებულება:

8.1.1 ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა)).

8.1.2 ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.5).

8.2 განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატის მიერ სპეციალიზაციის დარღვევით განხორციელებული საქმიანობა, ეთიკის კომისიის პრაქტიკის თანახმად, ითვლება არაკვალიფიციურ წარმომადგენლობად. „კლიენტის ინტერესების კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად დაცვის ვალდებულების დარღვევას წარმოადგენს, თუ ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას არ ეწევა შესაბამის დარგში“ (ეთიკის კომისიის 2011 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე N017/11). საქართველოს კანონმდებლობით, განსაზღვრულია ადვოკატთა კვალიფიკაციის ძირითადი მოთხოვნები, რომლის თანახმადაც ადვოკატს, რომელსაც ტესტირება გავლილი აქვს სპეციალიზაციის მიხედვით, საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლება ეძლევა შესაბამის დარგში (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლები 10, 11).

8.3 „დაცვის უფლების არაკვალიფიციურობაზე მიუთითებს, როდესაც ადვოკატი საქმიანობას არ ახორციელებს ადვოკატთა ასოციაციის მიერ ადვოკატთა ერთიან რეესტრში რიცხული სპეციალიზაციის შესაბამისად. ეთიკის კომისია მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ ადვოკატთა ასოციაცია ადვოკატს ანიჭებს რა კვალიფიკაციას შესაბამისი სპეციალიზაციით, ამის საფუძველზე აძლევს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლებას საერთო, სამოქალაქო ან სისხლის სამართლის მიმართულებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით, ადვოკატთა ასოციაცია უზრუნველყოფს ადვოკატის პროფესიული ვალდებულების - კლიენტის ინტერესთა კვალიფიციურად დაცვის შესრულებას, რაც კლიენტისათვის შესაძლო ზიანის მიყენების რისკს ამცირებს და მინიმალურ სტანდარტს აწესებს ასოციაციის მიერ მინიჭებული კვალიფიკაციის შესატყვისად კლიენტის ინტერესების დაცვის თვალსაზრისით“ (ეთიკის კომისიის 2011 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილება, საქმე N030/11).

8.4 განხილვის კოლეგია იზიარებს საპროცესო კოლეგიის მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ ამჟამად საქართველოში დაშვებულია პირველ ინსტანციაში არაადვოკატის მიერ წარმომადგენლობა. შესაბამისად ადვოკატი, რომელიც სპეციალიზაციის გარეთ ახორციელებს წარმომადგენლობას, არ ახორციელებს საადვოკატო საქმიანობას, მას არ ჰყავს კლიენტი. ის ამ შემთხვევაში წარმოადგენს მარწმუნებელს, ხოლო როგორც ადვოკატი, ვალდებულია მარწმუნებელს აცნობოს, რომ აღნიშნული ურთიერთობა არ წარმოადგენს კლიენტ-ადვოკატის ურთიერთობას და ის არ არის ადვოკატი ამ პროცესში. სხვა შემთხვევაში კლიენტი იქნება შეცდომაში შეყვანილი, რადგან კლიენტი ადვოკატთან სწორედ საადვოკატო მომსახურების მიღების მიზნით მიდის. ასევე კლიენტის მოლოდინია, რომ ადვოკატი მას დაიცავს სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში. მოქმედი კანონით, ამ ინსტანციებში კლიენტის დაცვა მხოლოდ ადვოკატს შეუძლია. საქმის სააპელაციო წესით გასაჩივრების შემთხვევაში ადვოკატი, რომელსაც არ აქვს მინიჭებული ლიცენზია შესაბამისი მიმართულებით, ვერ შეძლებს წარმოადგინოს კლიენტის ინტერესები, რაც წარმოშობს კლიენტისათვის დამატებითი პრობლემების შექმნის საფრთხეს, სხვა ადვოკატის მოძიებისათვის და მის მიერ საქმის მომზადებისათვის

დამატებითი დროისა და რესურსების ხარჯვის აუცილებლობას. ყველაფერ ამაზე კლიენტი წინასწარ უნდა იყოს ინფორმირებული ადვოკატის მიერ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ადვოკატმა, კლიენტს მომსახურება გაუწიოს იმ სპეციალიზაციის მიხედვით, რომელშიც მინიჭებული აქვს საადვოკატო საქმიანობის ლიცენზია.

8.5 ეთიკის კომისია აქვე განმარტავს, რომ დაუშვებელია ადვოკატმა არა მხოლოდ ანგარიშსწორება განახორციელოს, არამედ მომსახურების შეთავაზებაც გააკეთოს უცხოურ ვალუტაში. ადვოკატებმა მათ მიერ გასაწევი საადვოკატო მომსახურებისათვის ჰონორარი უნდა განსაზღვრონ ეროვნულ ვალუტაში - ლარში. მეწარმის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე მომსახურების გაწევის შეთავაზებისას ან / და რეკლამირებისას ფასი გამოხატული უნდა იყოს მხოლოდ ლარით („საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 34.2[1]).

8.6 ადვოკატს პროფესიული ეთიკის მარეგულირებელი კანონმდებლობა აკისრებს კანონიერების ფარგლებში მოქმედებისა და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ვალდებულებას (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლები 3(ა), 5(ა), 6.1). კანონის ფარგლებში კლიენტის ინტერესების დაცვა გულისხმობს კანონის შესაბამისად მოქმედებას; შესაბამისად, უცხოურ ვალუტაში ფასის შეთავაზებასა და ანგარიშსწორებასთან იმ აკრძალვების გათვალისწინებას, რასაც საქართველოს კანონმდებლობა აწესებს. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ფასის შეთავაზებას და ანგარიშსწორებას უცხოურ ვალუტაში თავად კლიენტი - საჩივრის ავტორი ითხოვდა, ადვოკატ ნ. კ.-ს მაინც უნდა დაეცვა კანონის მოთხოვნები და ანგარიშსწორება განეხორციელებინა ეროვნულ ვალუტაში, რადგან კანონიერების პრინციპი ყველა სხვა პრინციპზე, მათ შორის კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობაზე მაღლა დგას.

8.7 ნ. კ.-მ მომსახურების ნაწილი 310 აშშ დოლარი აიღო უცხოურ ვალუტაში, რითაც დაარღვია კანონიერების ფარგლებში მოქმედებისა და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ვალდებულება.

8.8 ნ. კ. არის ადვოკატი სისხლის სამართლის სპეციალიზაციით /სიითიN3089/1/. საქმეში წარმოდგენილია 2013 წლის 05 აგვისტოს N130795440 რწმუნებულება, რომლის თანახმად, ნ. კ.-მ, როგორც ე. ძ.ს წარმომადგენელმა აიღო ვალდებულება ეწარმოებინა ე. ძ.ს სამოქალაქო საქმე ყველა ინსტანციის სასამართლოში. წარმოდგენილი საქმის მასალებით დასტურდება, რომ ნ. კ.-მ ე. ძ.-ს მომსახურება გაუწია სამოქალაქო სამართლებრივ, კერძოდ საბანკო კრედიტის ურთიერთობიდან გამომდინარე დავაში. ადვოკატს არ წარმოუდგენია სარწმუნო მტკიცებულება, რომელიც აღნიშნულის თაობაზე კლიენტის ინფორმირების ფაქტს დაადასტურებდა. პირიქით, გაფორმებული მინდობილობა კლიენტს უქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ ადვოკატი ყველა ინსტანციაში დაიცავდა მის ინტერესებს. ადვოკატი ჩაერთო ისეთ საქმეში, რომელიც სცდებოდა მისი კვალიფიკაციის ფარგლებს და ადვოკატმა შეცდომაში შეიყვანა კლიენტი, როდესაც ვალდებულება აიღო სამივე ინსტანციაში წარმოედგინა მისი ინტერესები.

8.9 განხილვის კოლეგიის შეფასებით, კლიენტისთვის მძიმე შედეგი - სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის გაშვება, ასევე სხვა საქმეზე სარჩელის განუხილველად დატოვება შესაძლოა გამოწვეული ყოფილიყო სწორედ ადვოკატის არაკვალიფიციურობით სამოქალაქო საქმისწარმოებაში. ე. ძ.-მ ვეღარ შეძლო სააპელაციო და საკასაციო წესით თავისი

უფლებების დაცვა, რის გამოც მის ინტერესს მიადგა ზიანი, აღნიშნულიდან გამომდინარე ადვოკატმა ნ. კ.-მ დაარღვია ადვოკატის საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობითგათვალისწინებული კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ვალდებულება (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა) და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.5).

8.10 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ნ. კ.-ს მიერ ასევე დარღვეულია კლიენტის საქმისწარმოების მოსალოდნელი ხარჯების, ჰონორარის ოდენობის განსაზღვრისა და გამოთვლის წესის შესახებ კლიენტის ინფორმირების ვალდებულება:

ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2).

ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წამოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6).

ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.8).

8.11 განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ პროფესიული ეთიკის კოდექსი ავალდებულებს ადვოკატს არა მხოლოდ ჰონორარის ოდენობის მითითებას, არამედ იმის განსაზღვრასაც, თუ როგორ გამოითვლება ეს ოდენობა. აღნიშნული ვალდებულება უკავშირდება ადვოკატის მიერ კლიენტისათვის ისეთი ინფორმაციის მიწოდებას, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს ადვოკატის მიერ შეთავაზებული ჰონორარის ექვივალენტური მომსახურების ფარგლებს.

8.12 „ადვოკატს პროფესიული ეთიკის ნორმები ავალდებულებს წინასწარ განსაზღვროს ჰონორარის ოდენობა და გაანგარიშების წესი და აღნიშნული ინფორმაცია მიაწოდოს კლიენტს. დაუშვებელია ადვოკატმა მიუთითოს ჰონორარის ოდენობა და არ განუმარტოს კლიენტს მომსახურების ფარგლები, რომლისთვისაც განსაზღვრა ადვოკატმა მითითებული ჰონორარი. ამასთან, ადვოკატმა ცალკე უნდა მიაწოდოს ინფორმაცია კლიენტს მოსალოდნელი ხარჯების შესახებ“ (ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება საქმეზე N125/18, 13.11.18).

8.13 „ადვოკატმა ზუსტად უნდა განსაზღვროს ჰონორარის ოდენობა და მისგან დამოუკიდებლად განსაზღვროს მოსალოდნელი ხარჯების ოდენობა, რადგან ჰონორარი წარმოადგენს ადვოკატის საკუთრებას, ხოლო ხარჯების სახით კლიენტის მიერ ადვოკატისათვის გადაცემული თანხა წარმოდგენს კლიენტის და არა ადვოკატის საკუთრებას, რის გამოც ამ თანხების - მინდობილი თანხების მიმართ ეთიკის კოდექსი განსაკუთრებულ ვალდებულებებს აწესებს ადვოკატისათვის“ (ეთიკის კომისიის 2018 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე N125/18).

8.14 „იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს წინასწარ ექნება ინფორმაცია მისი საქმისწარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ, კლიენტს საშუალება მიეცემა თავად მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება: 1) გააგრძელოს თუ არა მისი საქმისწარმოება სასამართლოში, 2) მიმართოს თუ არა დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მეთოდებს, თუ 3) მოურიგდეს მხარეს, რათა შეიმციროს საქმესთან

დაკავშირებით გასაწევი ხარჯები“ (ეთიკის კომისიის 2018 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე #098/17).

8.15 „ადვოკატს პროფესიული რეგულაცია ავალდებულებს, რომ კლიენტს წინასწარ მიაწოდოს სწორი და ზუსტი ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რას მოხმარდება კლიენტის მიერ გადახდილი თანხა... კომისიის შეფასებით, იმ ფაქტის მტკიცების ტვირთი, რომ კლიენტს წინასწარ მოაწოდა ინფორმაცია თანხის მიზნობრიობასთან დაკავშირებით და შემდეგ წარუდგინა ანგარიშგება, ეკისრება ადვოკატს“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე #084/13).

8.16 საქმის მასალებით დგინდება, რომ ადვოკატ ნ. კ.-ს არ მიუწოდებია კლიენტისათვის ინფორმაცია მისი ანაზღაურების გამოთვლის წესისა და შესაბამისი განაკვეთის შესახებ, არ მიუწოდებია ინფორმაცია მოსალოდნელი ხარჯების შესახებ, რის გამოც მის მიერ დარღვეულია კლიენტის საქმისწარმოების მოსალოდნელი ხარჯების, ჰონორარის ოდენობის განსაზღვრისა და გამოთვლის წესის შესახებ კლიენტის ინფორმირების ვალდებულება.

8.17 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ნ. კ.-ს მიერ ასევე დარღვეულია მინდობილი თანხების შესახებ ხარჯთაღრიცხვის წარმოებისა და მინდობილი თანხების ცალკე - სადეპოზიტო ანარიშზე განთავსების ეთიკური ვალდებულებები:

ადვოკატმა უნდა აწარმოოს სრული და ზუსტი ჩანაწერი კლიენტის მიერ გადახდილი საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.12).

ნებისმიერი ფულადი სახსრები ან ქონება, რომელსაც კლიენტი მიანდობს ადვოკატს უნდა ინახებოდეს დამოუკიდებლად ადვოკატის პირადი ფულადი სახსრების ან ქონებისაგან და იმართებოდეს კეთილსინდისიერად. ადვოკატი ვალდებულია კლიენტს მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ანგარიშგება (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.13).

8.18 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატის ფიდუციური ვალდებულებებიდან ერთ-ერთ მნიშვნელოვან ვალდებულებას წარმოადგენს მინდობილი თანხების შესახებ ხარჯთაღრიცხვის წარმოება და კლიენტისათვის წარდგენა. ეს ნორმა აწესებს ადვოკატის ვალდებულებას აწარმოოს ხარჟთაღრიცხვა მიუხედავად იმისა, კლიენტი ითხოვს თუ არა ამას.

8.19 „საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე კლიენტისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია. ადვოკატის მიერ „სრული და ზუსტი“ ჩანაწერის წარმოების ვალდებულება გულისხმობს ადვოკატის მიერ კლიენტის საქმეზე ფინანსურ დანახარჯებთან დაკავშირებული ინფორმაციის შემცველი ნებისმიერი დოკუმენტის წარმოებას“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2015 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/5-14).

8.20 „ადვოკატის ქცევა, როდესაც ის არ აწარმოებს კლიენტისგან მიღებული თანხებისა და საქმის წარმოების ხარჯის შესახებ ჩანაწერებს, შეფასდება კლიენტის მიერ გადახდილი საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით სრული და ზუსტი ჩანაწერების წარმოების ვალდებულების დარღვევად. ადვოკატის მიერ ხარჯთახღიცხვის წარმოების შესახებ ვალდებულების შესრულება არ არის დაკავშირებული კლიენტის მოთხოვნასთან. მიუხედავად კლიენტის მოთხოვნისა, ადვოკატს

საწმისწარმოების პროცესში ევალება აღნიშნული ფიდუციური ვალდებულების შესრულება“ (ეთიკის კომისიის 2018 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე N125/18).

8.21 „კლიენტისათვის საქმის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაცია. ადვოკატის მიერ „სრული და ზუსტი ჩანაწერის“ წარმოების ვალდებულება მოიცავს კლიენტის საქმეზე ფინანსურ დანახარჯებთან დაკავშირებული ინფორმაციის შემცველი ყველა დოკუმენტის წარმოებას. აღნიშნული ვალდებულება უკავშირდება კლიენტის მოთხოვნისთანავე ანგარიშგების მოწესრიგებული სახით მიწოდების ვალდებულებას. ადვოკატს ეკისრება იმ ფაქტის მტკიცების ტვირთი, რომ ის აწარმოებდა ხარჯთაღრიცხვას და კლიენტს მისთვის გადაცემული თანხის ხარჯთაღრიცხვის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა“ (ეთიკის კომისიის 2015 წლის 02 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე #133/13).

8.22 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ იმისათვის, რათა დაცული იყოს კლიენტის ქონება და მასზე არ გავრცელდეს ადვოკატის პირადი ფინანსური ვალდებულებები, ადვოკატმა მინდობილი თანხები უნდა განათავსოს არა პირად, არამედ დამოუკიდებელ/ნეიტრალურ ანგარიშზე.

8.23 ნ. კ.-მ საჩივრის ავტორის მიერ გადაცემული მინდობილი თანხები მის პირად ანგარიშზე განათავსა, რითაც დაარღვია პროფესიული ეთიკის ნორმებით გათვალისწინებული ვალდებულება და საფრთხე შეუქმნა კლიენტის საკუთრებას.

8.24 განხილვის კოლეგიის სხდომაზე, ადვოკატმა განმარტა, რომ ე. ძ.ს საქმეზე აღებული მინდობილი თანხები არ განუთავსებია დამოუკიდებელ ანგარიშზე, არ უწარმოებია ხარჯთაღრიცხვა და კლიენტისათვის არ წარუდგენია ანგარიშგება, რადგან კლიენტს ეს არ მოუთხოვია. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ აღნიშნული ვალდებულებების შესრულება ადვოკატს აკისრია მიუხედავად იმისა, კლიენტი ითხოვს თუ არა ამას.

8.25 შესაბამისად, ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატ ნ. კ.ს მიერ დარღვეულია მინდობილი თანხების დამოუკიდებელ - ნეიტრალურ ანგარიშზე განთავსების, მინდობილი თანხების შესახებ ხარჯთაღრიცხვის წარმოებისა და კლიენტისათვის წარდგენის ვალდებულება (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლები 8.12, 8.13).

8.26 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ნ. კ.ს მიერ ასევე დარღვეულია წარმომადგენლობის შეწყვეტისას კლიენტისათვის გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების ეთიკური ვალდებულება:

კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15).

8.27 „ადვოკატის პროფესიული ქცევის აღნიშნული სტანდარტი ემსახურება კლიენტის ინტერესებს და ადვოკატის ავტორიტეტის დაცვას, გამომდინარეობს ადვოკატის ვალდებულებიდან იმოქმედოს

კლიენტის ინტერესებით, თავისი ქცევით პატივისცემას იწვევდეს კლიენტში“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/17-16).

8.28 „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლი ადვოკატს ავალდებულებს დაიცვას პროპორციულობის პრინციპი გაწეულ საადვოკატო მომსახურებასა და მიღებულ ჰონორარს შორის და დაუბრუნოს კლიენტს ის თანხა, რომელიც მას არ გამოუმუშავებია იმ მიზნისთვის, რისთვისაც კლიენტმა გადასცა“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე #015/18).

8.29 „ადვოკატს შეუძლია თავად განსაზღვროს მიღებული ჰონორარის რა ოდენობა გამოიმუშავა სამართლიანად და რა ნაწილი უნდა დაუბრუნოს კლიენტს, თუმცა აღნიშნული გაანგარიშება უნდა იყოს ადვოკატის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სრული მომსახურებიდან და ანაზღაურებიდან, ხელშეკრულების შეწყვეტამდე, მის მიერ შესრულებული სამუშაოს პროპორციული“ (ეთიკის კომისიის 2018 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე #098/17). შესაბამისად, მოცემული მუხლის საფუძველზე, ადვოკატის ქმედების შეფასებისას მნიშნელობა ენიჭება ადვოკატის მიერ პროპორციულობის დაცვას კლიენტისათვის დასაბრუნებელი გამოუმუშავებელი ჰონორარის ოდენობის განსაზღვრისას.

8.30 განსახილველ შემთხვევაში საჩივრის ავტორის პოზიციაა, რომ მან ადვოკატს ჰონორარის სახით გადასცა 480 ლარი, ხოლო სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად გადასცა 1688 ლარი და 310 აშშ დოლარი. ადვოკატმა განუმარტა კოლეგიას, რომ მისი მომსახურების ღირებულება იყო 2000 ლარი, ხოლო დანარჩენი თანხა მიიღო თარჯიმნის მომსახურებისა და მიმდინარე ხარჯებისათვის. საქმის მასალებით დადგენილია, რომ ე. ძ.-ს სამართლებრივად სახელმწიფო ბაჟის გადახდა არ დასჭირვებია - პირველ ინსტანციაში მას ჰქონდა მოპასუხის სტატუსი, ხოლო სააპელაციო საჩივარში შუამდგომლობით მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება. საქმის მსვლელობისას ე. ძ.-მ მოსარჩელის სტატუსით ერთხელ მიმართა სასამართლოს და სასამართლომ უარითქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე, შესაბამისად, კოლეგიამ დაადგინა, რომ არც ნ. კ.-ს ე. ძ.-ს სახელით და არც თავად ე. ძ.-ს სახელმწიფო ბაჟის თანხა (გარდა უზენაეს სასამართლოში კერძო საჩივრის წარდგენისას გათვალისწინებული 50 ლარისა) არ გადაუხდია.

8.31 კოლეგიის შეფასებით, საჩივრის ავტორსა და ნ. კ.-ს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთერთობა შეწყდა ვადამდე - ხელშეკრულებით (მინდობილობით) გათვალისწინებული მომსახურების სრულ შესრულებამდე, რის საფუძველზეც ადვოკატს წარმოეშვა გამოუმუშავებელი ჰონორარის კლიენტისათვის დაბრუნების ეთიკური ვალდებულება, რაც არ განახორციელა. შესაბამისად, ადვოკატ ნ. კ.ს მიერ ასევე დარღვეულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15-ე მუხლით დადგენილი ეთიკური სტანდარტი.

8.32 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ნ. კ.-ს მიერ ასევე დარღვეულია ნდობის პრინციპი:

კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას კომპეტენტურობას და დამოუკიდებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის

ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 3).

8.33 „ადვოკატის პირადი ღირსება და პატიოსნება არა მხოლოდ კონკრეტული ადვოკატის, როგორც ინდივიდის პიროვნული თვისებებია, არამედ თავისი მნიშვნელობით უფრო ვრცელი მასშტაბისაა და ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლში (ნდობის პრინციპი) ყველა ის პირადი თვისება, რომელიც ადვოკატს პიროვნულად უნდა ახასიათებდეს, იმავდროულად ადვოკატის პროფესიულ ვალდებულებებად განიხილება. ყოველი კონკრეტული ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა, იმავდროულად ხელს უწყობს კოდექსში გაცხადებული მიზნის - ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებას“ (ეთიკის კომისიის 2007 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე N330/07).

8.34 „ადვოკატისადმი კლიენტის ნდობის დამკვიდრება, მათ შორის მომავალი საქმიანი ურთიერთობის ჩამოყალიბებისა და გაგრძელების საფუძველია. კლიენტს ადვოკატის პიროვნული და საქმიანი თვისებების გათვალისწინებით უყალიბდება იმის რწმენა, რომ ადვოკატი კეთილსინდისიერად მიუდგება მისადმი მინდობილ საქმეს და დაიცავს მის ინტერესებს. შესაბამისად, ადვოკატი არ უნდა მოქმედებდეს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისადმი კლიენტის ნდობის საკითხი და ჩრდილი არ მიაყენოს ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებაში დამკვიდრებულ მაღალ შეხედულებას. აღნიშნულს მოითხოვს ადვოკატთა პროფესიის კორპორატიული არსი“ (ეთიკის კომისიის 2014 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე N077/13).

8.35 კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ ნიკოლოზ კვანრტიშვილის მიერ პროფესიული ვალდებულებების შეუსრულებლობამ გამოიწვია კლიენტის ნდობის დაკარგვა ადვოკატისადმი და ზოგადად - ამ პროფესიის წარმომადგენლებისადმი.

8.36 ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა ნ. კ.-მ დაარღვია კვალიფიციურობის, კეთილსინდისიერების, ნდობის, კანონიერების, მოსალოდნელი ხარჯების, ჰონორარის ოდენობის განსაზღვრისა და გამოთვლის წესის შესახებ კლიენტის ინფორმირების, სრული და ზუსტი ჩანაწერების წარმოებისა და ანგარიშგების კლიენტისათვის მიწოდების, მინდობილი თანხების დამოუკიდებელ ანგარიშზე განთავსების, ასევე გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების ვალდებულება, რის გამოც დისციპლინური სახდელის ფორმად უნდა განესაზღვროს გაფრთხილება.

8.37 ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლი განსაზღვრავს დისციპლინური სახდელის სახეებსა და ზემოქმედების ღონისძიების ფორმებს, რომელიც შესაძლოა ადვოკატს დაეკისროს დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში. ეს სახდელებია გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა, ხოლო ზემოქმედების ღონისძიებას წარმოადგენს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

8.38 საქართველოს უზენაესმა სასამართლომ იმსჯელა ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომასთან შეფარდებული სახდელის პროპორციულობის თაობაზე მის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში და განმარტა, რომ “სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათის, დამრღვევის პიროვნების, გადაცდომის სიმძიმის, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რაც სახდელის

ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია"(საქართველოსუზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-17, 22.05.2017).

8.39 ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 2(5) მუხლი პირდაპირ უთითებს, რომ ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი. „განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ეთიკის კოდექსის მიზნებიდან გამომიდინარე, საუბარია ადვოკატის პროფესიისათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრაზე. თუმცა ეს არ გამორიცხავს კლიენტისათვის მიყენებული ზიანის გათვალისწინების შესაძლებლობასაც" (ეთიკის კომისიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება, საქმე N098/17).

8.40 „ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომასთან შეფარდებული სახდელის პროპორციულობის განხილვისას ეთიკის კომისიამ უნდა გაითვალისწინოს ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის სახე, სიმძიმე, პროფესიისათვის მიყენებული ზიანი, კლიენტისათვის მიყენებული ზიანი, ადვოკატის პიროვნება, მისი რეპუტაცია, ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომები, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, ადვოკატის დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმა და სხვა გარემოებები, რომელიც მნიშვნელოვანია ეთიკის კოდექსის ძირითადი მიზნის მისაღწევად" (ეთიკის კომისიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება, საქმე N098/17).

8.41 „ადვოკატის დისციპლინირების მიზანი არის არა მისი დასჯა, არამედ ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის პრევენცია, საზოგადოების დაცვა ადვოკატის არაეთიკური ქცევისაგან და პროფესიული ღირებულებების დაცვა, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის დამკვიდრებას" (ეთიკის კომისიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება, საქმე N098/17).

8.42 ეთიკის კომისია ითვალისწინებს ფაქტს, რომ ადვოკატი ნ. კ. ბოლომდე ვერ აცნობიერებს ჩადენილი ქმედების არაეთიკურ ხასიათს, ადვოკატის ქმედებით ადვოკატის პროფესიას მიადგა ზიანი და მიაჩნია, რომ ადვოკატისათვის დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებით - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა ქმედითი ვერ იქნება. თუმცა, ამავდროულად, ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატ ნ. კ.-სათვის, მოცემული დისციპლინური საქმიდან გამომდინარე საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება ან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა ზედმეტად მკაცრი და არაპროპორციული სახდელი შეიძლება იყოს მის მიერ ჩადენილ გადაცდომასთან. ეთიკის კომისია, სახდელის შეფარდებისას ასევე ითვალისწინებს გარემოებას, რომ ადვოკატ ნ. კ.-ს, გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისათვის არ აქვს შეფარდებული სხვა დისციპლინური სახდელი.

8.43 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა პასუხისმგებლობის სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპით, მხედველობაში მიიღო ეთიკის კომისიის პრაქტიკა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განმარტებები პასუხისმგებლობის პროპორციულობასთან დაკავშირებით, და მიიჩნია, რომ ადვოკატ ნ. კ.-ს ჩადენილი დისციპლინური გადაცდომების გამო, დისციპლინური სახდელის ფორმად უნდა განესაზღვროს გაფრთხილება.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-3(ა), მე-5(ა), მე-6, 32.1-ე, 34.1(ა)–ე, 35-ე, 35[1]-ე, 36-ე მუხლებით; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3, მე-8.5, მე-8.6, მე-8.8, მე-8.12, მე-8.13 და მე-8.15 მუხლებით; ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობის და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-4.5, მე-4.6, მე-19, მე-20, 33-ე, 35-ე, მე-40.2 მუხლებით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე N011/18 ადვოკატ ნ. კ.-ს მიმართ /სიითი№3089/1/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.
2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში, დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში საჩივრის წარდგენის გზით.

კოლეგიის თავმჯდომარე: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ანა ლორია/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/